

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 34

11 სექტემბერი, 2006 წელი

ქ. თბილისი

სამეცნიერო თანამდებობებზე არჩევის საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

“მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” 2005 წლის 23 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 31 მაისის № 530 ბრძანებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის დროებითი წესდების” მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის “დ” ქვეპუნქტის, მე-8, მე-10 და მე-11 მუხლების საფუძველზე ვბრძანებ:

I. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობებზე არჩევის საკონკურსო კომისია შეიქმნას შემდეგი წესით: საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის № 20 ბრძანებით დამტკიცებულ სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევის საკონკურსო კომისიის შემდეგ შემადგენლობას:

1) ნინო ფარცვანია – საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის თავმჯდომარე);

2) როლანდ გაჩეჩილაძე – საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

3) ვასილ ბუღაძე – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

4) გელა დევიძე – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი;

5) ვახტანგ კვარაცხელია – საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი;

6) დავით ნატროშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე, პროფესორი;

7) როლანდ ომანაძე – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი,

დაემატოს შესაბამისი სამეცნიერო განყოფილების გამგე.

II. ამ ბრძანების I პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის განყოფილების სამეცნიერო თანამდებობებზე არჩევის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ამ ბრძანების I პუნქტით განსაზღვრული 7 წევრი და მე-8 – ხვედრი ინასარიძე (საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი);

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ლოგიკის განყოფილების სამეცნიერო თანამდებობებზე არჩევის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ამ ბრძანების I პუნქტით განსაზღვრული 7 წევრი და მე-8 – ლეო ესაკია (საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ლოგიკის განყოფილების გამგე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი);

